

ლელა მიქაბერიძე

პეიზაჟი კორნელი სანაძის შემოქმედებაში

დავდივარ, დავალ ბედის მხატვარი,
შევნატრი ამ ველთ, ამ ქედებს, ამ ცას,
ტილოს გავანდობ გულში ნატარებს,
ჯერ რომ დავხატო და მერე დამწვას.
კ. სანაძე

ნაშრომი ეხება ქართველი ფერმწერის კორნელი სანაძის მრავალმხრივ შემოქმედებას, ამჯერად პეიზაჟის დარგში, მისი ფერწერული ღირებულებების და ოსტატობის გამოვლენის ასპექტებს, რომელსაც მხატვრის შემოქმედებაში ღიმი ადგილი უჭირავს. ეს გამოიხატება ამ ჟანრის ნამუშევრების სიმრავლითაც და მათი შესრულების ხარისხითაც. უნდა აღინიშნოს, რომ მხატვარი ბევრს მოგზაურობდა საქართველოში და მისი ბუნების მშვენიერების, თავისებურებების ასახვას ფერწერულ ენაზე თავის ნამუშევრებში ახდენდა. მისი პეიზაჟების მშერისას იგრძნობა მხატვრის პოეტური სული, ტკობობა ბუნებით, თბილი, ფაქიმი დამოკიდებულება თემისადმი. სურათები თითქოს ერთი ამოსუნთქვით იქმნება და სავსეა ემოციით. ამას მხატვარი ფერთა სიმდიდრით, ტონთა მრავალფეროვნებით, თვით ასახვის საგნისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით ალწევს.

კ. სანაძის შემოქმედება შეიძლება ითქვას, რომ სრულიად შეუსწავლელია. მასზე საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული წერილები, როგორც ფერმწერზე, მის შემოქმედებაზე არაფერს ამბობს, მათი ავტორები ძირითადად მხოლოდ სანაძის სახელოსნოში გაქდერებულ მუსიკაზე, მხატვრის გულთბილ შეხვედრაზე და საბჭოთა თემატკაზე შესრულებული ნამუშევრების განხილვით იფარგლებოდნენ. ამიტომ, ვისაც კი ეს რეცენზიები წაუკითხავს იგი, დღემდე სოც-რეალიზმის წარმომადგენლად მიაჩნია. მისი სახელი კომუნიზმის იდეის საღიღებელი სურათების შექმნასთან უფრო ასოცირდებოდა, სინამდვილეში – მხატვარი მაღალი ღონის ფერწერას ქმნიდა. მისი შემოქმედების ძირითადი ნამუშევრები შორს ღვას ყოველგვარი პოლიტიკისაგან. ისინი რომანტიკითა და პოეზიითაა გამთბარი, სადაც ჩადებულია გრძნობა მშობლიური მიწისა, მისადმი განსაკუთრებული გრფობა. მხატვრის განსაკუთრებული აღქმა მის ქმნილებებს ხელოვნების ნიმუშის ჭეშმარიტ ფასეულობად აქცევს. მიგვაჩნია, რომ მხატვრის ეს

მემკვიდრეობა სერიოზულ შესწავლას მოითხოვს. კვლევის წინამდებარე მცდელობა სწორედ ამ განზრახვითაა შესრულებული.

კორნელი სანაძემ თავისი შემოქმედების მანძილზე მრავალი პეიზაჟი შექმნა. ისინი ერთმანეთისგან თარიღით, ხასიათით, ფორმატით, შესრულების ტექნიკით განსხვავდებიან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი დაყოფა რამდენიმე მოსაზრების საფუძველზე ფორმატის მიხედვით უფრო გამართლებულად მიგვაჩნია. იმისთვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ამ პრინციპით დაყოფის მიზეზი, შეგვიძლია განვიხილოთ ორი, ერთსა და იმავე თემაზე შესრულებული ნამუშევარი. კომპოზიციებში გამოსახულია ერთი და იგივე პეიზაჟი, ერთი და იგივე მომენტი, თუმცა მათ შორის მთელი რიგი განსხვავებებია.

“ქარიშხალი” – ასე ჰქვია ორივე კომპოზიციას, თუმცა, ერთი შეხედვით სათაურს ნაკლებად პასუხობენ. პირველი, რომელიც 1958 წელს შეიქმნა (49/70 ს.მ. დეკ, გეთი) უფრო ბუნების წვიმის შემდგომ განწყობას ასახავს. შავი ღრუბლით დაფარული ცა შუაში თეთრადაა განათებული. ზოგან ვერტიკალური მონაცრისფრო მონასმები კი წვიმიან ამინდზე მიგვითითებს. მნახველს უჩნდება შეგრძნება, რომ წვიმამ ეს-ეს არის გადაიღო, ამასვე გვაფიქრებინებს სწორად მდგარი ხეები, ფოთლების და ბალახის ხასხასა, ღია მწვანე ფერი.

მცირე ზომის, მეორე კომპოზიციამ (20/24 ს.მ. მუყაო, გეთი, 1977წ.) განსხვავებული განწყობაა. რჩება შთაბეჭდილება, რომ მხატვარმა გამოსახა წვიმის წინა მომენტი. ამაზე მეტყველებს შედარებით მუქი ტონები, ნაკლები განათება, ცის მეტი ნაწილი მუქ მოლურჯო-მონაცრისფროს უჭირავს, დარჩენილ მკვეთრ თეთრ არეებს ვერ შეაქვს სურათში განათება. თუმცა ხეები აქაც სწორად დგას, წინა პლანზე ორი ფიგურაა გამოსახული, რაც უფრო აძლიერებს სათაურთან შეუსაბამობის განცდას. მხატვარი მხოლოდ შავი ღრუბლებით და ხეების დინამიური მოკლე მონასმებით დამუშავებული ხეებით ვერ ქმნის “ქარიშხალის” განწყობას.

თუმცა კორნელი სანაძემ ერთი და იგივე ადგილი გამოსახა, პეიზაჟმა მაინც განიცადა კომპოზიციური ცლილებები. აღრეული (1958 წ.) ნამუშევარი მეტი სიერცულობით ხასიათდება. სასურათე სიბრტყე ნაკლებად დატვირთულია. ხედვის წერტილი საკმაოდ მემოთაა ატანილი, შორს გატანილი ხეები, სიღრმეში მიმავალი გზა, ასევე შორს სახლის სახურავის მინიშნება, უკანა პლანზე გამოსახული მთების სილუეტი, მონაცრისფრო და მოთეთრო ფერთა გრადაციით შესრულებული ცა მეტ სიღრმეს ქმნის სურათში. მაყურებლის მგერა თითქმის მთლიანად უკანა პლანზე – ხეებზე

და ღრუბლიან ცაზე გადადის, წინა პლანი კი, რომელსაც სასურათე სიბრტყის თითქმის ნახევარი უჭირავს, თითქოს ერთი შეხედვით ნაკლებ საინტერესოა, აქ გამოსახული გზა კომპოზიციურად მხოლოდ პერსპექტივის შექმნის ფუნქციის მატარებელია, ამასთანავე ეს მხატვრული პასაჟი ფერწერული ვარიაციების შესანიშნავ თამაშს იწვევს.

შემდგომ ნამუშევარში კომპოზიციამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. მხატვარმა ფიგურების წინა პლანზე წამოწევით სივრცე უფრო კომპაქტური გახადა. ხედვის წერტილმა ქვემოთ დაიწია, რამაც მაყურებელი გარკვეულად დაახლოვა გამოსახულ პეიზაჟთან, ის მხოლოდ პასიურ დამკვირვებლად აღარ რჩება, აძვერად მეტა კავშირი მაყურებელსა და თვით კომპოზიციას შორის. ხეების შომების გაზრდით, ტონების გამუქებით, კიდევ ერთი წითელი სახურავით, წინა პლანზე კი ორი ფიგურის ჩასმით მხატვარმა შინაარსობრივი და ფერადოვანი აქცენტით უფრო სრულყოფილად აითვისა სასურათე სიბრტყე. წინა ნამუშევარში ნაკლებად დატვირთული წინა პლანი სწორედ ამ ფიგურების ჩასმით დატვირთა და აამოძრავა, თბილი ფერებით, ოხრისფერებით გააერთიანა. უდავოა, რომ ფორმატის შემცირებამაც გარკვეული როლი შეასრულა, რათა მხატვარს შეექმნა ფერწერულად უფრო მდიდარი და სრულყოფილი კომპოზიცია.

რაც შეეხება ფერადოვან გამას: პირველი ნამუშევარი მთლიანად აგებულია მწვანე ფერის მდიდარ ვარიაციებზე, ფერის ტონალურ გრადაციაში ჩართულია მოყვითალო ოხრისფერი, მოცისფრო, თეთრი, ცაზე კი, ღია ნაცრისფერი ჭარბობს. ვხედავთ მხოლოდ ერთ მკვეთრ აქცენტს – სახლის წითელ სახურავს სიღრმეში. ფერადოვანი კომპოზიცია აგებულია შემდეგ პრინციპზე: მარჯვენა და მარცხენა კიდეები მთლიანად მწვანის ვარიაციებს უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ დიაგონალურად ასახული გზა ოხრისფერებითაა დამუშავებული, ეს თბილი ტონები ფერადოვან კომპოზიციამე განფინლ მწვანის სხვადასხვა ტონებთან მაინც ნათესაობს. თუმცა, ის კარგად ასრულებს ფუნქციას გაათბოს გამა, მნახველის თვალში შედარებით თბილი და ნათელი ტონების მეშვეობით სივრცისკენ ისწრაფვის. აღქმის პროცესზე აქტიურად მოქმედებს სწორედ მეორე პლანის ხეებზე მწვანეების მრავალფეროვანი და დინამიური ვარიაციები, ჩართული მოყავისფროები მეტად ათბობს და აერთიანებს კომპოზიციის ფერადოვნებას. ფოთლოვან ღიდ ხეებზე გამოყენებული მწვანეების ჰაეროვანი, თითქოს მოციმციმე გადასვლები, იქვე ჩართული წითელი აქცენტი, გახსნილი ცის განათებული, თეთრი ლაქა

მაყურებლის თვალს სწორედ აქ აჩერებს. კომპოზიციის სწორედ ამ არეზე ყურადღების გადატანას ხელს უწყობს ქვედა მარჯვენა კუთხის მუქი და შედარებით მშვიდი დამუშავება, მარჯვენა კიდეში კიდევ უფრო მუქი ფერების ჩაღება, იქვე გამოსახული მაღალი ხე, ასევე მუქი, მძიმე ტონით და ნაკლები დინამიურობით ხასიათდება. იმავეს თქმა შეიძლება მარცხნივ მუქ მოლურჯო ლაქაზე, რომელიც დიდი ხის გაგრძელებაა. მაყურებლის თვალი, რომელიც გზას მიჰყვება და კომპოზიციის შუაში, მეორე პლანზე შორს სივრცეში გადადის. ნათელი ცისფერი მთების სილუეტი და გახსნილი, მოთეთრო ცა ამ სივრცის მოწესრიგებას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ფერადოვანი კომპოზიცია წონასწორობაშია დასაერთო გამით ხასიათდება, თითქოს კოლორიტის ერთგვარი უკმარისობის გრძნობა რჩება, რადგან სურათში მკვეთრი ფერადი აქცენტი მხოლოდ სახლის წითელი სახურავია. მიუხედავად ამისა, მხატვარი მდიდარი ტონალური გრადაციებითა და ფერადოვანი ეფექტების თამაშით ახერხებს ერთგვარი კოლორიტის შექმნას.

ფერადოვანი კომპოზიცია რამდენადმე იცვლება მეორე ნამუშევარში. გამა აქაც მომწვანოა, თუმცა ის გამუქდა და დამძიმდა. ქვედა მარჯვენა კუთხეში ისევ ვხედავთ მძიმე-მუქ მწვანეებს, გზის ნათელი ფერები ისევ დიაგონალზე მდებარეობს, თუმცა მასზე მოთამაშე მოთეთრო, მოწითალო, ოხრისფერი, მომწვანო ელფერები მდიდარ ფერწერულ დინამიკას ქმნის, შემადლებული გორაკიც დატვირთულია ფერადოვანი გადასვლებით, აქ თბილ მოწითალო-ოხრისფერებს, ცივ მოცისფროებს და სხვადასხვაგვარ მწვანეებსაც ვხედავთ. ხეებზე გატანილია თეთრები, მოყავისფროები, მუქი მწვანეები, რაც ერთიან ფერადოვან კომპოზიციაზე მიგვიტოთებს. ამასთან, საკმაოდ მკვეთრ კონტრასტს ქმნის ხის მუქი მძიმე მწვანე, მკვეთრი თეთრი ცა და მოლურჯო ღრუბელი. აქცენტებად კი ისევ წითელი სახურავები რჩება, თუმცა წინა პლანზე ჩასმული ფიგურების მოწითალო მონასში უკვე იძლევა საშუალებას ამ ლაქებს კოლორისტული აქცენტები ვუწოდოთ.

ფერადოვან კომპოზიციას გზის კიდეებში მოთავსებული მუქი, მძიმე მწვანე ხეები კეტავს, თუმცა წინა კომპოზიციის მსგავსი მონოტონურობა თავიდანაა აცილებული, სურათის მარცხნივ კონტრასტული თეთრათი გახსნილი ცა აძლიერებს სურათის მეტი ინტერესით აღქმას, რადგან თეთრი ლაქები ლამაზ კოლორიტულ კონტრასტებს ქმნის, შემოაქვს სინათლე და იმავდრულად უზრუნველყოფს უკანა და წინა პლანს შორის კავშირს.

ეს ორი ნამუშევარი წერის ხარისხითაც განსხვავდება. ადრეულ ნამუშევარში გზა გადმოცემულია პარალელური, უწყვეტი

მონასმებით, მოოხროსფრო ტონებით, მონასმები ისეა განლაგებული, რომ ბრტყელი ადგილის ხასიათი თითქმის თანაბარი, თხელი, გრძელი მონასმებით იქმნება, ხოლო 1977 წელს შესრულებულ ნამუშევარში მხატვარი იმავე გზას ფუნჯის მეტად დინამიური მონასმებით, ფერთა მეტი ინტენსივობით გადმოსცემს, პირველ შემთხვევაში – ფერი და კინეტიკა უფრო თვალსაჩინოდ მუშაობს. განსხვავებაა ხეების დამუშავებამაც. აღრეულ სურათში მხატვარი იყენებს ძალზე დინამიკურ, მოკლე მონასმებს, სურვილი აქვს გადმოსცეს მოშრიალე, არათანაბრად განათებული ხეები, უნდა მიაღწიოს ერთგვარ მოციმციმე, ძალზე მრავალფეროვან ფორმას. მთელი აქცენტი სწორედ მასზეა, აქ ყველაზე მეტი ელფერის ვარიაციაა, მხატვრის სურვილი სრულყოფს ფერწერულობა, ამ სურათში მიღწეულია. მისი ხე პაეროვანი, თითქოს არამატერიალურია, მაგრამ საოცარი ფერწერული გადასვლებით ხასიათდება. რომ არა ფერი, ძნელი გასარკვევი გახდებოდა მონასმების რა ხასიათის და შინაარსის საგანთან გვაქვს საქმე. უფრო არასაგნობრივია ცალკე გამოსახული რამდენიმე ხე, რომლებსაც მხატვარი თითო ვერტიკალური მონასმით და ფუნჯის მოკლე, ოღნაფი შეხებით იძლევა, ზოგან საფუძვლის ფაქტურაც კი ჩანს, თუმცა მათი ხასიათი და განწყობა მაინც კარგად იქმნება. მხატვარი ქმნის მოშრიალე ხის ხასითს, მოციმციმე ფოთლებით, ლამაზი ანარეკლებით.

მეორე ვარიანტში ფერების გამუქებით და დამძიმებით, უფრო ფართე და მძლავრი მონასმებით, ფერების ნაკლები დანაწევრებით მხატვარი ახერხებს შექმნას მატერიალური, საგნობრივი ფორმა. ამ შემთხვევაში არ გვრჩება გამჭვირვალობის შეგრძნება, ფორმა თითქოს ნაძერწია. მუქ, მოშაო-მომწვანო ლაქაზე დინამიკური, მაგრამ მძლავრი მოყავოსფრო და მოთეთრო მონასმები იძენს საგნობრივ, მატერიალურ ხასიათს. ცალკე მდგომი ხეებიც უფრო მჭიდრო ფერწერით და ნაჯერი, შედარებით მკვერივი ფერით გადმოიციმება, სადაც სიახლის, მოძრაობის, “ალა-პრიმას” შეგრძნება დაკარგულია.

მხატვარი ცის გამოსახვაშიც სხვადასხვა ხერხს მიმართავს. დიდ ნამუშევარში ცის ასახვა დამყარებულია თეთრი და ღია მონაცრისფრო ტონალობათა ურთიერთობაზე. ტონები ნაკლები სიმკვეთრით ხასიათდება, დინამიკური მონასმებისა და ზედაპირის წეირს შედეგად იქმნება განწყობა, რომ წვიმამ ეს-ეს არის გადაილო და მზემ გამოანათა. მიუხედავად არამკვეთრი ფერადოვანი და ტონალური გადასვლებისა მაინც იქმნება ცოცხალი განწყობა. ორი არამკვეთრი აქრომატული ფერით შექმნილი ცა დამუშავებულია

თითქმის მშრალი ფუნჯით, სადაც არ ჩანს მონასმები და ფერწერას არ აქვს რელიეფური ხასიათი, მიუხედავად ამისა მაინც ქმნის გარკვეულ განწყობას. ფერწერულობის ხარისხის თვალსაზრისით ყოველივე აღნიშნულს თავისი წვლილი შეაქვს კომპოზიციაში.

მცირე ზომის ნამუშევარშიც ცას თითქმის გლუვი ზედაპირით ასახავს, თითქმის არ ფიქსირდება მკვეთრი მონასმები, ფერწერა იმდენად თხელია, რომ საფუძველის ფაქტურა მოჩანს, ხოლო გარკვეულ ქვერადობას და განწყობას მონაცრისფროში მოლურჯოს შერევა და მასთან მკვეთრი თეთრის დაპირისპირება იძლევა. ამასთან, წინა კომპოზიციის მსგავსად აქ თეთრი და მოლურჯო-მონაცრისფრო ლაქები ერთმანეთში არ გადაედინება, რაც მკვეთრ კონტრასტს ქმნის. რამდენიმე ადგილას საკმაოდ მსუყე, მკვეთრი თეთრი მონასმები კი ანეიტრალებს მოლურჯოთი შედევის შთაბეჭდილებას. თუმცა, სურათის ეს ფრაგმენტი ნაკლები მრავალფეროვნებით და დინამიკურობით დახასიათდება.

გვიან კომპოზიციას მეტ საგნობრიობას, თხრობითობას ანიჭებს წინა პლანზე ჩასმული ორი ფიგურა, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე სხადასხვა ფერის მსუბუქი მონასმით ოსტაგურად არის მინიშნებული.

ამ ორი ნამუშევრის განხილვისას ნათელი ხდება მხატვრის ერთი თავისებურება: ავტორს დიდი ზომის სასურათე სიბრტყეზე თითქოს უჭირს კომპოზიციის აგება, ხოლო ფერადოვანი კომპოზიციის თვალსაზრისით, მშვენივრად ითვისებს ფორმატის სიბრტყეს. დაღვან ფერადოვანი აქცენტები ერთი მიზნისთვის კეთდება – მიაღწიოს მეტ ფერწერულობას. ავტორი, როგორც ავღნიშნეთ, დიდი ზომის სიბრტყის კომპოზიციურ აგებას ნაკლებ ყურადღებას უთმობს, ამდენად, ის ნაკლები შინაარსობრივი დინამიზმით ხასიათდება. ხოლო ფერწერული ჰარმონიულობა და მთლიანობა “ალა-პრიმას” ტექნიკით მიიღწევა და ნამუშევარს პოლიფონიურობას ანიჭებს.

დაახლოებით ოცი წლის შემდეგ კორნელი სანაძე დაუბრუნდა აღნიშნულ თემას და იგივე კომპოზიცია ახლებურად გადაიგანა მცირე სიბრტყეზე, რაც გარკვეულწილად უფრო მომგებიანი აღმოჩნდა. აქ მან შეძლო მთელი სიბრტყის სრულყოფილად ათვისება, სადაც როგორც ფერადოვანი, ისე საერთო კომპოზიციის ერთიანობას მიაღწია. იგრძნობა ბინალური ხასიათი, მოგადის და კონკრეტულის, სიბრტყის და სივრცის, ფერის და კინეტიკის ჰარმონია. თითოეული მონასმი ერთდროულად ქმნის ფაქტურის, განწყობისა და ფერის შეგრძნებას, რაც შედარებით დიდი ზომის სიბრტყეზე ვერ ხერხდება. გარკვეულმა ესკიზურობამ, ეტიუდურობამ,

თითქოს დასრულებულმა დაუსრულებლობამ შექმნა საკმაოდ პარმონიული, ერთიანი და ფერწერული ნამუშევარი. თუმცა, ნაწარმოების სათაური განწყობის იდენტური არ არის.

ამ ორი ნამუშევრის ურთიერთშეჯერებისას შეიძლება ითქვას კიდევ ერთი რამ: პირველი ნამუშევარი მისი ხასიათით და განწყობით მეტყველებს იმაზე, რომ მხატვარმა ის შექმნა პლენერზე სწორედ მაშინ, როცა ამ ხელს უყურებდა. მეორე, შედარებით გვიანი ნამუშევარი კი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ოცი წლის შემდეგ (1977წ.) გაცილებით უფრო გამოცდილმა და დაოსტატებულმა ხელმა ის წინანდელი განწყობა მცირე ფორმატზე გადაიტანა. მხატვარმა შექმნა გაცილებით უფრო მძლავრი და ზუსტი მონასმებით შეკრული და მსუყე ფერადოვანი კომპოზიცია, რათა ეჩვენებინა ფუნჯის ოსტატობა, გამოცდილი ფერმწერის თვალი და მონასმის მძლავრი დინამიკურობა, თუმცა კარგად ჩანს მხატვრის დამოკიდებულება ფორმატის ზომებთან, პლენერულ და “კაბინეტურ” პირობებში შესრულებულ ნამუშევრებში. დიდი ზომის ფორმატზე კომპოზიციურად სუსტი, მაგრამ ფერწერულად დახვეწილი, განწყობისმიერი ტილო იქმნება. ხოლო რაციონალური მიდგომის შემთხვევაში და შედარებით პატარა ზომის ფორმატზე – პარმონიული და სრულყოფილი ფერწერული ნიმუშია მიღებული. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ კორნელი სანაძის შემოქმედებაში პეიზაჟს მართლაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი ნამუშევრების ნახვის შემდეგ რწმუნდები მხატვრის მაღალ ინტელექტში, მის ესთეტიკური მარაგის სიმდიდრეში და ივსები განსაკუთრებული გრძნობებით. ეს პეიზაჟები სამშობლოსადმი სიყვარულის გამძაფრებითა და მისდამი მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობით აღგვავსებს.

ეტიუდსა და აკადემიურად დასრულებულ სურათებს შორის საშემსრულებლო აპლიკულა განწყობისმიერია. მიუხედავად ამისა, ისინი სრულყოფილებით ხასიათდება. მხატვრის მიერ შერჩეული ადგილმდებარეობის ბუნებრივი ხასიათიდან გამომდინარე მისი ემოციები სწორედ ამგვარი წერის მანერით გადმოიცემა. მშობლიური პეიზაჟი მის ტილოებზე ემოციურ რეალობას, გამწყობას უფრო ასახავს. მითუმეტეს, რომ იგი “ალა-პრიმას” მანერაში მუშაობს, რაც მისი წერის მანერის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს. ბუნებრივი რელიეფის, ფორმის, კომპოზიციის აგებას, ფაქტურების შენარჩუნებას, ტონალობათა ფაქიმ შერჩევას ერთი ამოსუნთქვით აკეთებს.

ნამუშევრებიდან კარგად ჩანს, რომ კ. სანაძე ფერმწერია, ამ სიტყვის მაღალი ოსტატობის სრული გაგებით. და ეს

გადაჭარბებული სულაც არ არის. მისი ფერადოვანი ვარიაციები სიმდიდრით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ფერთა კომბინაციები მეტყველია. მხატვარმა მიზნად კიდევე ერთი რთული ამოცანის გადაჭრა დაისახა: ფერით და მეტიც, სუფთა ფერით მოდელირება. ის ფორმის შექმნისას ფერს იყენებს და არა შუქჩრდილს. ეს კი უმეტესად ფერთა ტონალობის გათამაშებული კომბინაციებითაა მიღებული. სუფთა ფერით მოდელირება კი ბევრ მხატვარს გარკვეულ სიძნელეებს უქმნის. კ. სანაძის შემთხვევაში – ფერთა პარმონია არა პალიტრაზე, არამედ სასურათე სიბრტყეზე თამაში მონასშებით იქმნება.

მხატვარი, სურათებს აკადემიური წერის პრინციპებიდან გამომდინარე (როგორც ეს აღრე იყო მიღებული), ან მათზე დაყრდნობილ სპეც-ეფექტებზე არ აგებს, არამედ შემოქმედებითი, სულიდან წამოსული განწყობით ქმნის მათ. მხატვრის აზროვნება ფერით მდიდარია, რაზეც მეტყველებს მის სურათებში ფერთა, ტონთა და ელფერთა მრავალფეროვნება. მხატვარს თითქმის ყოველთვის შეაქვს ნამუშევრებში თხრობის ელემენტი, რაც კიდევე უფრო უშუალოს და მომხიბლავს ხდის მისი შემოქმედების ნაყოფს.

ლიტერატურა:

1. ლ. ხუბულური. “ცხოვრება მხატვრის თვალით”. კომუნისტი, 1960 წ. 4 ოქტომბერი.
2. კ. მესხი. “მხატვრის ფუნჯი და პალიტრა”. ლიტერატურული საქართველო, 1964 წ. 21 თებერვალი.
3. ს. ნაციაშვილი. “ფერების პოეტი”. თბილისი, 1961 წ. 11 სექტემბერი.
4. З. Абзианидзе. «картины с новыми героями». Вечерний Тбилиси, 3 января 1963 г.

*Lela Mikaberidze***Landscape in Korneli Sanadze's Works**

Summary

The present work deals with versatile works by painter Korneli Sanadze, in particular his landscapes, aspects of his painting skills and values that pervade all of his paintings. The landscapes vary in terms of date, character, format and painting techniques involved. Their classification on the basis of format is, however, considered to be more preferable. The present work focuses on two paintings on one and the same theme. Both paintings feature one and the same landscape at one and the same moment of time, however, there is a great number of differences between them. Both paintings are entitled 'The Wind'. One of them was executed in 1958 (49/70 cm. dvp, oil) and the other - in 1977 (20-/24 cm, cardboard, oil). A closer study of both paintings brings to the fore one peculiarity of the painter: his difficulty to construct a composition on a large-sized area. However, in terms of colorfulness, he perfectly adapts to spacious areas. He makes colour accents for the sole goal of achieving a greater pictorial effect. The painter, as it was noted above, pays little attention to the construction of composition on a large-sized area, hence comes the lack of contextual dynamism in his paintings. Pictorial harmony and wholeness is achieved through 'ala-prima' technique, which lends a kind of polyphony to the painting.

After a lapse of about twenty years, Korneli Sanadze refocused on the same theme and placed the same composition on a relatively small-sized area that proved to be more effective. He managed to cover thoroughly the whole area and achieve both pictorial and compositional unity. The painting gives a display of binality, harmony of the general and the concrete, time and space, colour and technique. Each brushwork gives the feel of texture, mood and colour that is rather difficult to convey on a larger area. A certain degree of sketchiness, etudeness and a sense of finite infinitude seem to have combined to create this very harmonious, integral and pictorial painting. However, the painting's title is far from identical with the mood it conveys.

